საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1674 2016 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - დაბა თიანეთის №1 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული ქონების ა(ა)იპ - პარტნიორობა ბავშვებისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – დაბა თიანეთის №1 საჯარო სკოლას (ს/კ: 232386272), „დღის ცენტრების“ ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების განხორციელების მიზნით, აუქციონის გარეშე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადით, გადასცეს ა(ა)იპ - პარტნიორობა ბავშვებისათვის (ს/კ: 416301889) თავის სარგებლობაში არსებული, დაბა თიანეთში, რუსთაველის ქუჩა №59-ში (ს/კ: 73.05.37.072) შენობა-ნაგებობა №2-ის პირველ სართულზე არსებული 159.19 კვ. მ ფართი.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**